ჩვენი გაზეთი იუბილარია, 90 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

90 წელი თქვენთან ერთად!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №23 (7098) 1 დეკემბერი 2023 წელი

როგორი იქნება თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მთავარი ფინანსური დოკუმენტი

2024 წელს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ამ მთავარი საფინანსო დოკუმენტის მომზადება-დამტკიცების პროცესი საბოლოო ეტაპზე გავიდა.

მას შემდეგ, რაც 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზთან ერთად მოამზადა, ის საგანგებოდ იქნა განხილული მერიის სამსახურების, ა(ა)იპების ხელმძღვანელების და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ერთად.

ამ და სხვა განხილვის შედეგების გათვალისწინებით შეიკრა დოკუმენტთა პაკეტი, რომელიც გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სადაც ის განხილული იქნა საკრებულოს კომისიების მიერ.

საკრებულოს სხდომამდელი მთავარი განხილვა 22 ნოემბერს გაიმართა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა. მომავალი წლის ბიუჯეტი შეკრებილთ მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ წარუდგინა. შეხვედრაზე დაწვრილებით განიხილეს მომავალი წლის პრიორიტეტული მიმართულებების პარამეტრები. პასუხი გაეცა სხვადასხვა შეკითხვებს, გამოითქვა მოსაზრებები. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს როგორც საკრებულოს წევრებმა, ისე მერიის სამსახურების და ა(ა)იპების ხელმძღვანელებმა, მერის მოადგილემ მირზა ქოჩიაშვილმა.

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის პირველი განხილვა მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომაზე 24 ნოემბერს გაიმართა.

სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა. სხდომას ესწრებოდა, როგორც მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, ასევე მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, მერიის სამსახურების და ა(ა)იპების ხელმძღვანელები.

ახალ ბიუჯეტთან დაკავშირებით მოხსენება საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა გააკეთა.

საბიუჯეტო პროექტის მომზადების პროცესუალური ნორმის გათვალისწინებით, საკრებულოს სხდომაზე, პირველი მოსმენის შემდეგ, რომელმაც ბიუჯეტის პროექტში გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების დაფიქსირება მოითხოვა, პროექტი დაუბრუნდა მერიას საბოლოო სახით ფორმირებისათვის.

ახალ ბიუჯეტში ორი მნიშვნელოვანი და კარგი შესწორება შევა. პირველი ეს არის სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის არა 10, არამედ 12 სახლის მშენებლობა და მეორე—ჩვენი საფეხბურთო გუნდის „საპოვნელას“ დაფინანსება.

უნდა ითქვას, რომ საკრებულოს ამ სხდომაზე ოპოზიციამ ორივე შესწორებაზე დადებითი პოზიცია დააფიქსირა.

სავარაუდოდ, თერჯოლის თვითმმართველობას, მომავალი წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტი მიმდინარე წლის ბოლომდე ექნება, რაც მეტად მნიშვნელოვანია საბიუჯეტო დაწესებულებების გამართული საქმიანობისათვის.

☞4, 5



23 ნოემბერს, გიორგობას...

ქრისტიანულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ 23 ნოემბერს აღნიშნა ქართველი ქრისტიანების ერთ-ერთი გამორჩეული დღესასწაული, წმინდა გიორგის ხსენების დღე.

ჩვენი ეკლესია წმიდა გიორგის ხსენებას ორჯერ დღესასწაულობს: 23 აპრილს (6 მაისს) – წმიდანის აღსრულების დღეს და 10 (23) ნოემბერს – მისი ბორბალზე წამების დღეს.

წმიდა მთავარმოწამე გიორგი მოღვაწეობდა რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს, მესამე საუკუნის ბოლოს და მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში.

წმიდა გიორგის ეპოქა შეეჯახება ორ დიდ სარწმუნოებას, კერძოდ, კერპთაყვანისცემლობას და მართლმადიდებლობას, რა დროსაც მოწამეს უხდება აღიაროს საჯაროდ ქრისტე, რომლის გამოც არაერთ განსაცდელს შეამთხვევენ მას.

დიდმოწამე გიორგი რომის არმიაში წარჩინებული მხედართმთავარია, დიდი ავტორიტეტის და გავლენის მქონე. დიოკლეტიანე მას დამატებით სამეფოს ნახევარს სთავაზობს, ოღონდ გიორგიმ დათმოს მისი სარწმუნოება – ქრისტე, რასაც მოწამე გიორგი

☞2

გაზეთ „თერჯოლის“ მორიგი ნომერი 15 დეკემბერს გამოვა, საახალწლო კი შობა-ახალი წლისათვის.

დეკემბრის კალენდარი

4 — ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება
13 — ანდრიაობა
17 — ბარბარობა
19 — ნიკოლოზობა
24 — ხსენება საქართველოს ყოველთა წმიდათა

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

იშვიათი რეალობა

სამუშაო შეხვედრებსა და თათბირებზე გაკეთებული ჩანაწერებიდან

გასული თვის ბოლოს, 27 ნოემბერს, მუნიციპალიტეტის მერის მანუჩარ რობაქიძის მიერ მოწვეულ მორიგ სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა რგოლის ხელმძღვანელობა და სასოფლო თემებში მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ერთი მეტად საყურადღებო და სასიამოვნო იშვიათი რეალობა დავაფიქსირეთ...

ეს რეალობა ასეთია—ამ შეხვედრაზე, როგორც მერის, მანუჩარ რობაქიძის, ისე თათბირის მონაწილეთაგან ბევრჯერ გაისმა სამადლობელი სიტყვები, რაც იშვიათი მახასიათებელია ამ სახის შეხვედრა-თათბირებისათვის.

ამჯერად თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ რამდენიმე ფაქტზე, რაც მუნიციპალიტეტის მერმა გულწრფელი სამადლობელი სიტყვებით შეაფასა.

მისი განმარტებით, დასაფასებელია ის, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ, ინფრასტრუქტურული ობიექტების შეკეთება-რეაბილიტაციაზე დასაქმებულმა სპეციალისტებმა თუ ტენდერში გამარჯვებულმა უმეტესმა კომპანიებმა განსაკუთრებით მაღალი პასუხისმგებლობით იმუშავეს მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში.

მერმა საჯაროდ გამოთქვა დიდი მადლიერება ასეთი პიროვნებების თუ ორგანიზაციების მიმართ და პირველ მაგალითად მოიყვანა ბარდუბნის თემის სოფელ სათემოს კობახიძეების უბნის მაცხოვრებლები, რომლებმაც ამ უბანში, მერიის მხარდაჭერით, სამი მეტრი სიგანის ბეტონის გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთი დააგეს.

მუნიციპალიტეტის მერმა ასევე მადლობა გამოთქვა იმ პიროვნების მიმართ, რომელმაც ამავე თემში კარგად და დროულად შეასრულა საბავშვო ბაღში შეკეთების გადაუდებელი სამუშაოები.

ამავე თემში, კიდევ ერთი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ მოგითხრობთ, რომელიც ისევ და ისევ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას უკავშირდება...

ცნობისათვის—ზედა სიმონეთის დ. კლდიაშვილის სახელობის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებისათვის აუცილებელი გახდა ამ სკოლის მოსწავლეთა ბარდუბნის საჯარო სკოლაში გადაყვანა და სასწავლო პროცესის იქ გაგრძელება.

ამ ფაქტთან კავშირში მუნიციპალიტეტის მერმა ხმამაღლა განაცხადა, რომ ის ადამიანურად აღფრთოვანებულია ბარდუბნელთა მასპინძლობით, მათი დახვედრითა და მეზობელი სოფლის სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის სწავლების ნორმალური პირობების შესაქმნელად გაწეული ზრუნვის გამო.

„მადლობა ბარდუბნის სკოლას, მის ხელმძღვანელობას, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ასეთი დამოკიდებულებისათვის. სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა გულომ მართლაც, რომ დიდი გულიანობა გამოალინა ამ პირობებში. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა თქვენ!“

მუნიციპალიტეტის მერმა, იმ დღეს, მადლობის სიტყვები სასოფლო თემებში მისი ზოგიერთი წარმომადგენლის მისამართითაც არ დაიშურა.

მკითხველს ვპირდებით, რომ წლის შედეგების გათვალისწინებით ყველა მათგანს წარმოგიდგენთ ჩვენი გაზეთის საშუალებით.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესზე, რაც დასკვნით ეტაპზეა გასული. მერმა ამ საქმეში განსაკუთრებულად გამოყო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური და მათი მუშაობა ახალი ბიუჯეტის ფორმირებისათვის მაღალი ხარისხით შეაფასა.

კარგია, რომ ამ შეხვედრაზე არაერთხელ გაისმა სამადლობელი სიტყვები მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობის მისამართითაც, იმ ოპერატიული თანადგომისათვის, რასაც პირადად მერი და მერიის სამსახურები ავლენენ მოსახლეობის მიმართ.

ასეთი ორმხრივი მადლობების ფონზე, რაც მუნიციპალიტეტში ბევრი კარგად გაკეთებული და ბოლომდე მიყვანილი საქმეების პირდაპირი ანარეკლია, საკმაოდ ჭარბი გამოდგა ის მწვავე შეფასებები და მოთხოვნები, რაც თათბირის ზოგიერთი მონაწილის საქმიანობით უკმაყოფილო მერმა გააკეთა და მათ მიმდინარე პროცესებში მთელი პასუხისმგებლობით ჩართვით, საბოლოო შედეგების მომტანი მუშაობა მოსთხოვა.

თათბირის ყველა მონაწილის მისამართით მანვე გააჟღერა კატეგორიული მოთხოვნა—წლის ბოლომდე დარჩენილი ყველა გეგმიური თუ სხვა მნიშვნელოვანი საქმის აუცილებლად განხორციელებისათვის.

„განსაკუთრებულ ყურადღებას და ჩართულობას მოვითხოვ ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებაზე. არ დავუშვებთ, რომ ამ მხრივ ჩვენმა მუნიციპალიტეტმა ვერ შეასრულოს 2023 წლისათვის გაწერილი პროგრამები, მითუმეტეს, როცა ამ შესრულებაზე პირდაპირაა დამოკიდებული თუ რა მოცულობის ტრანშს მივიღებთ მომავალ წელს, მუნიციპალიტეტში ჩვენთვის საჭირო ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის“—განაცხადა მანუჩარ რობაქიძემ.

27 ნოემბრის შეხვედრაზე, მიმდინარე წელს განხორციელებულ, დასასრულებელ და გარდამავალ პროექტებზე ისაუბრეს. მუნიციპალიტეტის მერმა განიხილა საკითხები, რომლებიც უახლოეს დროში სწრაფ რეაგირებას მოითხოვენ.

სამუშაო შეხვედრაზე, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა, დიანა ფოცხვერაშვილმა სოციალური პროგრამების ეფექტურად განხორციელების შესახებ ისაუბრა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის, მანუჩარ რობაქიძის ინიციატივით, სოციალური მიმართულებით, მიმდინარე წელს საბარბარობო ნობათს 100-მდე ბენეფიციარი მიიღებს, ასევე მოხდება საახალწლოდ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციართა ოჯახების დახმარება.

როგორც ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, გოდერძი თურქაძემ აღნიშნა, ყველა პროექტი ხარისხისა და ვადების სრული დაცვით მიმდინარეობს.

აქტიურ ფაზაშია სოფელ ზედა ალისუბნისა და ჩხარის დამაკავშირებელ გზაზე ხიდ-ბოგირების აღდგენითი სამუშაოები.

დასრულებულია სტიქიის შედეგად დაზიანებული 4 სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო დასკვნით ეტაპზეა 1 სახლის მშენებლობა.

თათბირზე იმსჯელეს იმ მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც მიმდინარე წლის ბოლომდეა გადასაწყვეტი. ამასთან, ყურადღება გამახვილდა ზამთრის სეზონის დადგომასთან და ახალი წლის აღსანიშნავ ღონისძიებებზე.

„შარშანდელი ზამთარი ბევრად თოვლხვავრიელი იყო, ვიდრე მისი წინამორბედი და თავი მართლაც კარგად გავართვით“. მერის ამ სიტყვების მიღმა დიდთოვლობის დროს მოქმედების გეგმაც გაცხადდა და ის გათბობის საშუალებები სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომ სჭირდებათ.

P.S. საახალწლო პროგრამას მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ.

23 ნოემბერს, გიორგობას...

1☜ პასუხობს: „ჩვენთვის ცხოვრებაა ქრისტე“ ანუ მოწამემ უშიშრად აღიარა ჭეშმარიტება და თქვა, რომ ქრისტიანობა მისი ცხოვრების წესია და „ქრისტეს შეიძლება განმაშოროს ჭირმან ანუ იწროებამან“.

არაერთი წამების მოწმე გახდა წმიდანი, ხან ურმის თვალზე დააკრეს, ხან გავარვარებულ კირის ღუმელში მოათავსეს, ხან რკინის ჩექმები ჩააცვეს, რომელშიც წვერწამახვილებული ლურსმნები იყო დამაგრებული, რათა დაჩხვლეტოდა ფეხები და ისე არბენინეს, მაგრამ ყოველი წამების დროს წმინდანს თავად ქრისტე აძლიერებდა და სასწაულებრივად განკურნავდა.

წმიდა გიორგის მთელი მსოფლიო სცემს თაყვანს, მაგრამ მისი ხსენების დღეს წლის განმავლობაში ორჯერ: 23 ნოემბერს და 6 მაისს (თარიღები ნაჩვენებია ახალი სტილით) მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს.

ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში წმინდანს განსაკუთრებით სცემენ თაყვანს.

23 ნოემბერს მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესია წმიდანის ბორბალზე წამებას აღნიშნავს, 6 მაისს კი მისი თავის კვეთას მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს. საქართველოში რომ განსაკუთრებულად დიდ პატივს მიაგებენ წმინდანს ეს XVIII საუკუნის ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვებიდანაც ჩანს.

„არა არს საქართველოში არცა მთანი და არცა მაღალნი ბორცვნი, სადაცა არ იყოს ტაძარნი ანუ ნიშანი წმიდისა გივარგისანი”.“

წმიდა გიორგის წმინდა ნაწილები სხვადასხვა ქალაქში არის შემონახული, მისი მუხლის ნაწილი წლების განმავლობაში ინახებოდა სიონის საპატრიარქო ტაძარში, ხოლო როდესაც წმინდა სამების საკათედრო ტაძარი იკურთხა, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ლოცვა-კურთხევით მუხლის ნაწილი სამებაში იქნა დაბრძანებული. საგულისხმოა წმინდა გიორგის უკანასკნელი ლოცვა ქრისტესადმი, იგივე თხოვნა და ანდერძი, სადაც ის მაცხოვარს თხოვს: „შემხებელი ჩემს ნაწილზე, სარწმუნოებით განკურნე და თითოეული ნაწილი ძვლისა ჩემისანი ჰკურნავდეს სარწმუნოებით შემხებელ სნეულს“. და ეს მართლაც ასე ხდება. მრავალი ადამიანი განკურნებულა წმინდანის ნაწილთან შეხებით.

კიდევ ერთხელ ყველას გილოცავთ მთავარმოწამე გიორგის ხსენების დღეს, ღმერთმა წმიდა გიორგის მეოხებით დაიცვას და დაიფაროს სრულიად საქართველო ამინ!

***

ჩვენი გაზეთი პრაქტიკულად ყოველწლიურად აქვეყნებს ინფორმაციებს ამ ბრწყინვალე დღესასწაულის შესახებ. არა ერთი პუბლიკაცია და ფოტო რეპორტაჟი გამოქვეყნებულა ამ დღესასწაულების თაობაზე, სრულიად საქართველოში განსაკუთრებით პოპულარული გოგნის კარუგდებლის უძველესი სალოცავიდან და იქ აშენებული წმინდა გიორგის სახელობის ახალი ტაძრიდან.

ჩვენს მუნიციპალიტეტში წმინდა გიორგის სახელზე აშენებული ბევრი მოქმედი სალოცავია. 23 ნოემბერს შესაძლებლობა გვქონდა მონაწილეობა მიგვეღო სადღესასწაულო წირვა-ლოცვაში, რომელიც ზედა სიმონეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში აღავლინა დეკანოზმა მამაო ამირანმა (ქარქაშაძე).

გადაუღებელი და ზოგჯერ თავსხმა წვიმის მიუხედავად, ტაძარში სალოცავად მრევლი სხვა სოფლებიდანაც მოვიდა და სამღვდელოებასთან ერთად პატივი მიაგო ქართველი მართლმადიდებლების ამ გამორჩეულ წმინდანს.

რაც შეეხება ზედა სიმონეთის წმ. გიორგობის სახელობის ტაძარს იგი მე-XI საუკუნით თარიღდება. საყურადღებოა, რომ ამ ტაძრის ჩრდილოეთის და სამხრეთ კედლებში ჩაშენებულია ქართული ასომთავრული და ნუსხურ-ხუცური წარწერებიანი რამდენიმე ქვა, რომლებიც როგორც გადმოცემითაა ცნობილი, წამოღებულია უნაგირას მთაზე არსებული უფრო ადრინდელი, ასევე წმ. გიორგის სახელობის მიწისძვრისგან დანგრეული ტაძრიდან. მშენებლის მიზეზით ერთი ქვა ჩაშენებულია უკუღმა, ერთ-ერთ ქვაზე კი სწერია: „წმინდაო გიორგი შეიწყალე სოფელი სომიანეთი“.



როგორც თავის ქადაგებაში ტაძრის წინამძღვარმა მამაო ამირანმა აღნიშნა, ზედა სიმონეთის წმ. გიორგის სახელობის ტაძარი თავისი მნიშვნელობის გამო შეტანილია საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლთა წუსხაში. მანვე მადლიერებით მოიხსენია ყველა ის უწყება და პიროვნება, რომელთაც წვლილი შეიტანეს ტაძრის დღევანდელი ფორმით შენარჩუნებაში. მან ასევე გვითხრა, რომ ტაძარი 1997 წლიდან მნიშვნელოვნად განახლდა.

წმინდა გიორგი გფარავდეთ!

1-2 გვერდები მოამზადა დავით შალიკაშვილმა

სოფლის მოსაგრე და მოიმედე ოჯახი

ოჯახი ხომ სახელმწიფოა, ოჯახის სიმტკიცესა და ერთიანობაზეა დამოკიდებული მთლიანად სახელმწიფოს დღევანდელობა და მომავალი. ამაზე მრავალგზის თქმულა და დაწერილა. საბედნიეროდ, მიგრაციულ ფონზე ჯერ კიდევ მრავლადაა ოჯახები, რომლებიც ურყევად ერთგულებენ სოფელს, ქმნიან დოვლათს. გაზეთის მესვეურები ვცდილობთ ფართო პროპაგანდა გავუწიოთ ასეთ, ტრადიციულ ქართულ ოჯახებს. ამჯერად სოფელ სკანდის მკვიდრების, გურამ მარუაშვილს და შორენა ვარდანიძის ოჯახს გაგაცნობთ.

გვქონდა საშუალება ამ შეხმატკბილებული ოჯახის წევრებს გავსაუბრებოდით, მითუმეტეს, რომ ისინი არ არიან უცხონი ჩვენთვის. ვიცოდით, ისიც, რომ სოფლის ლხინისა თუ ჭირის დროს (ეს უკანასკნელი ღმერთმა ყველას გვაშოროს) ერთ-ერთი პირველები დგებიან ფეხზე და აკეთებენ იმას, რასაც ამ დროს მეზობლობა, მეგობრობა თუ ნათესაობა მოითხოვს და ცხადია საქმე. ორივე ცოლ-ქმარი სიამოვნებით გვესაუბრნენ სამეურნეო საქმიანობაზე.

აი, მიგრაციის ამბები რომ ვახსენეთ, გაღიზიანდნენ, ჩვენ არსად წამსვლელები არ ვართ, სხვათა შორის არც მთლიანად ჩვენი კუთხეა ამ მხრივ დაზიანებულიო. მიდიან ბევრნი უცხოეთში სამუშაოდ, ვინ რას იმიზეზებს, ვინ რას, უფრო გაჭირვებას უჩივიან, მაგრამ ბევრი თუ არა ცოტა სამშობლოზე ხომ უნდა ვიფიქროთ, თორემ ამ მშობლიურ მიწას თუ სხვა უცხოტომელი დაესაკუთრება, მერე აქეთ ფეხს აღარ შემოგვადგმევინებენო.

გაჭირვების მეტი რა ჰქონია ქართველობას, მიწას იყო დანატრებული გლეხი კაცი, სახნავ-სათესი არ ჰქონდა, მაგრამ რაც ჰქონდა იმას დასტრიალებდა თავს, არ ელეოდა. ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი მშობლიური კერის სიყვარული და იმიტომ არსად არ წასულა, არსად არ გაქცეულა, აგერ სკანდას ციხე რომ დაგვყურებს თავს აქ, დამაგრებისა და დაცვისათვის ააშენეს ჩვენმა წინაპრებმა. შემოესეოდა მტერი ქვეყანას და ციხეში შეიხიზნებოდა სოფელი, მოიგერიებდნენ მტერს და გამოვიდოდნენ, სიცოცხლეს გააჩაღებდნენ, შთამომავლობას ამრავლებდნენ. ახლა მიწა და სახნავ-სათესი რამდენიც გინდა იმდენია, მაგრამ რად გინდა—კაცი აღარ რჩება მისი მომვლელი. ნოყიერი სავარგულები საქონლის საბალახოდაა გადაქცეული. ოჯახი რომ შევქმენით მე და ჩემმა მეუღლემ—გვეუბნება შორენა, ქუთაისის პოლიტექნიკურში ვიყავი ლექტორი, ჩემს მეუღლეს ბელგოროდის კერამიკის ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული და ქუთაისის ბროლის საწარმოთა კომბინატში მუშაობდა ტექნოლოგად. იმ ავადსახსენებელ წლებში ქვეყანა რომ დაინგრა და დაიქცა, ფაბრიკა-ქარხნები კი ჯართად გაიყიდა, სოფელში წამოვედით, მეურნეობას მოვკიდეთ ხელი. დღემდე მუხლჩაუხრელი შრომით გვიდგას ფეხზე ოჯახი და არცთუ ურიგოდ. ქალიშვილი გვაჩუქა ღმერთმა, შეგვიძლია ფუფუნებაში ვაცხოვროთ, მაგრამ ასე არ ვიქცევით, თავიდანვე შრომას მივაჩვიეთ. განებივრებული და თავნება შვილები ამპარტავნები იზრდებიან. ამპარტავნობა კი, წმინდა წერილის მიხედვით მიუტევებელი ცოდვაა, „შრომაა ყველაზე დიდი სიქველე ამ ქვეყნადო“—ბრძანებდა კონსტანტინე გამსახურდია. არცერთი ლუკმა არაა ისე გემრიელი, როგორც შენი საკუთარი ხელებით მოყვანილი, იცის ეს ჩვენმა შვილმა მარიმ და გვიდგას მხარში როგორც შეუძლია. გვიხარია ძალიან სოფელი რომ უყვარს, სოფელი კი მართლაც სანაქებო გვაქვს.

ძველი საქარავნო გზა და ისტორიული ციხე-სიმაგრე ეყოფა სახელად. უცხოეთიდანაც კი მოდიან ტურისტები მის სანახავად. ციხის ქონგურებიდან ლამის მთელი დასავლეთ საქართველოს სანახები მოსჩანს. აქ უნდა იმრავლოს ჩვენმა შვილ-მონაგარმა. არსად არ უნდა წავიდეს. როგორ იმრავლებს ამაზე ხელისუფლებამ უნდა იფიქროს, უნდა შეუქმნას პირობები, რომ სხვაგან გასაქცევად არ ექნეთ საქმე. სოფლის დოვლათის გარეშე ქვეყანა ვერ აშენდება, ეს უნდა იცოდეს ყველამო—ამბობს შორენა და თავად ოჯახით იძლევა იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა გაისარჯო, როგორ წარმართო მეურნეობა, რომ თავიც დაირჩინო და საერთო საქმესაც არგო.

მეურნეობა კი მართლაც რიგიანი აქვთ. საკუთარ სავარგულებში სიმინდიც მოჰყავთ და ყურძენიც, ერთი პერიოდი ბაღ-ბოსტანში იმდენი მწვანილი მოჰყავდათ: კიტრი, პომიდორი, ქინძი თუ ოხრახუში რომ მთელი ახლო-მახლო სოფლები მათი მომხმარებლები იყო. 3 დედა ღორი, ფურები, კრუხ-წიწილა და ა.შ. მუხლჩაუხრელ შრომას მოითხოვს. შრომობენ კიდეც.

ზემოთ ქალბატონმა შორენამ შვილზე თქვა—გვეხმარება როგორც შეუძლიაო. მარი კი, რომელსაც ამ ფოტოზე ხედავთ, მართლაც ყოჩაღი გოგოა. ჯარასავით ტრიალებს ოჯახში. ქალაქის კერძო სკოლა „მზეკაბანი“ დაამთავრა. სწავლაში წარჩინებულმა მისაღები გამოცდები ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა, მშობლიური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე და ამ სასწავლებლის სტუდენტი გახდა. დახმარებაა მშობლებისათვის აბა რა, ყოველი თვე მისი სწავლის ფულის შეგროვებით რომ აღარ იქნებიან დაკავებული. მარის განათლების მიღება მთლიანად სახელმწიფოს მიერ იქნება დაფინანსებული. ვუსურვოთ წარმატებები მიომავალშიც მას, მთლიანად ოჯახს და ვისურვოთ ასეთებმა იმრავლონ ყველა სოფელსა და მთლიანად საქართველოში.

ი. ერაძე

გამწმენდი ნაგებობა იქნება, მაგრამ როდის?

ქალაქ ქუთაისში წამსვლელ-წამომსვლელი, ზაფხულის პერიოდში, მდინარე ჩხარას ხიდზე გადასვლისას აუცილებლად შენიშნავდა წყალში მობანავე ბავშვებს. ონავარი ყმაწვილები სასიამოვნო ჟრიამულით იკლებენ იქაურობას და ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ანკარა წყალში იგრილებენ სხეულს, არადა იმ ხიდიდან ზემოთ, სულ რაღაც სამიოდ კილომეტრში, მეორე ხიდთან, ფეკალური მასა ჩაედინება მდინარეში და არაა ძნელი წარმოსადგენი როგორ აბინძურებს მას. კიდევ კარგი, რომ ეს მასა ადვილად იხსნება წყალში, თანდათანობით ილექება მდინარის კალაპოტში. ეს მწარე რეალობა არის და ისე, როგორც სხვა მუნიციპალიტეტებში, ჩვენთანაც საკითხი მეტად პრობლემურია. სამწუხარო მით უფროა აღნიშნული, რომ თავის დროზე (წინა საუკუნის 80-90-იან წლებზეა საუბარი) თითქმის დამთავრებული იყო მძლავრი გამწმენდი ნაგებობა, ე.წ. კოლექტორი, მდინარე ჩოლაბურის პირას და მისი წარმოებაში გაშვება მხოლოდ დროის საკითხიღა იყო.

აღარ გადავღლით მკითხველის ყურადღებას ქვეყანაში იმ ანარქიული წლების გახსენებით ფაბრიკა-ქარხნები რომ ჯართად გაიყიდა თურქეთში თუ სხვაგან. დაიტაცეს ცხადია კოლექტორის შენობა და შიგთავსი მანქანა-დანადგარები. ახლა ამაზე წუწუნი „უკან მიდევნებული ლამპარი“ იქნება მხოლოდ. დღეს ქვეყანა ასე თუ ისე დალაგებულია, ბევრი რამ კეთდება ინფრასტრუქტურული პროექტების თვალსაზრისით. უნდა დავიიმედოთ თავი, რომ სხვა სიკეთეებთან ერთად გამწმენდი ნაგებობაც აშენდება და ეს „საუკუნის პრობლემა“ დადებითად გადაიჭრება.

თუ რა მდგომარეობაა სადღეისოდ და როგორია კოლექტორის კვლავ აშენების კონტურები, ამაზე სასაუბროდ შევხვდით საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის თერჯოლის ფილიალის ხელმძღვანელს ელისო ქოჩიაშვილს.

ეს მართლაც მეტად მწვავე პრობლემაა, გვითხრა მან, და თუ ვინმეა შეწუხებული კანალიზაციის რიგიანი ქსელის და გამწმენდი ნაგებობის არ ქონით, უპირველესად ჩვენი სამსახური. ქსელი, რომლის სიგრძე თითქმის 7 კილომეტრია (გარდა ქალაქის საერთო საცხოვრებელი ბინებისა მასში ჩართულია ინდივიდუალური მაცხოვრებლებიც) 1960 წელსაა გაყვანილი, ამორტიზირებულია და დღენიადაგ შეკეთებას მოითხოვს. ერთ ადგილზე, რომ მოვახერხებთ ავარიული სიტუაციის განმუხტვას, მეორეგან იჩენს თავს. მთელი ძალების მობილიზებით და მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით ვახერხებთ ქსელის ფუნქციონირება ნორმალურს მიუახლოვდეს. შევძელით მთავარი ხაზის დიდ მონაკვეთზე კანალიზაციის მილების შეცვლა, შევაკეთეთ ავარიული ადგილები, რომ იტყვიან მკალვდაკაპიწებული მუშაობენ არა მარტო ქსელის სამსახურის, არამედ კოლექტივის სხვა წევრებიც, განსაკუთრებით: კანალიზატორი როსტომ ლილუაშვილი, მურმან დოლაკიძე, დავით ლომიტაშვილი და ა.შ. გვაქვს იმედი, რომ ქსელის მთლიანი შეცვლისა და გამწმენდი ნაგებობის პრობლემა, ყველა მუნიციპალიტეტში და ცხადია ჩვენთანაც, დადებითად გადაწყდება. 2025 წლისათვის მოქმედებაში შევა დიდი პროექტი ამ მიმართულებით, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება.

სულ მალე, ე.წ. „საპოვნელაზე“, წყლის შემკრებ მთავარ რეზერვუარს დაემატება ახალი 2000 ტონიანი რეზერვუარი, რაც ხელს შეუწყობს, როგორც მოსახლეობის სასმელი წლით უზრუნველყოფას, ისე საკანალიზაციო ქსელის მუშაობას.

ჩვენი თხოვნაა მოსახლეობისადმი ეკონომიურად ხარჯონ წყალი.

ესაუბრა ი. ერაძე

ღვინობისთვე და ახლადშექმნილი ოჯახები

ღვინობისთვე ძველთაგანვე იყო ქორწინებების თვე, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ამ თვეს უნდა აღნიშნონ ოჯახის შექმნის მსურველმა წყვილებმა შეუღლების დაუვიწყარი დღე.

სალხინოდ, ჩვენი წინაპრები, შემოდგომის ამ თვეს უწინარესად იმად ამჯობინებდნენ, რომ უკვე მინახული ჰქონდა ჭირნახული, დაზრდილი იყო კრუხ-წიწილა თუ დეკეული, დადუღება ჰქონდა დამთავრებული ყურძნის ახალგამოწურულ წვენს...

გავიხარეთ, როცა ნოემბერში ჩვენებური ორი წყვილის დაქორწინების შესახებ შევიტყვეთ...

ალბათ მეტიც იყო...

უფალმა ინებოს!

სულითა და გულით ვულოცავთ მათ, მათ მშობლებს, ოჯახის წევრებს, ახალშობილებსა და ნათესავებს, სრულიად საქართველოს!

დაგელოცოთ ჭერი, ახალშექმნილი ოჯახი!

სიხარული და ბედნიერება თქვენ!

შვილთმრავლობა ნუ მოგიშალოთ უფალმა!

ჩვენი გაზეთის გულშემატკივრებს **ირაკლი კუბლაშვილს, ინგა ჯალიაშვილს, ნინო ოქრუაძეს** გულითადად ვულოცავთ შვილების **ავთანდილ კუბლაშვილის** და **ანი ბურჯანაძის** გაბედნიერებას.

ღვთითკურთხეულ წყვილს ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ღირსეული, ქართული ტრადიციების მატარებელი ოჯახის შექმნას.

გამრავლდით ვითარცა ბიბლიური იაკობი.

ძევრელმა **თორნიკე ფანჩულიძემ,** 2023 წლის 22 ოქტომებრს, ულამაზეს დღეს—„თერჯოლობას“, თერჯოლის საფეხბურთო სტადიონზე, ასეულობით ადამიანის თვალწინ, ხელი საჯაროდ სთხოვა საზანოელ **თამარ თავბერიძეს.**

მათ ერთმანეთისათვის მიცემული პირობა ღვინობისთვეში ქორწინებით განამტკიცეს.

მრავალჟამიერ!

როგორი იქნება თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მთავარი ფინანსური დოკუმენტი

განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2024-2026 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2024 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8,4% პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნებს.

მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2024-2027 წლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: თერჯოლის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, რაც გულისხმობს მიმზიდველი გარემოს შექმნას და თერჯოლის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებენ ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მმართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა, რათა მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე, როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნის წარმატებულ მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები, რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპალიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთი ახალი პროგრამები, რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

ბიუჯეტის პარამეტრები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6[1]-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 19000.0 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 2500.0 ათასი ლარით. აღნიშნული ზრდა ძირითადად გამოწვეულია დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდით;

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საშემოსავლო ნაწილის მაჩვენებლის მიხედვით რეალური შემოსავალი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით - 468,77 ლარს მიაღწევს, ხოლო რეალური შემოსავალი ერთ სულზე საშუალოდ თვეში - 39,06 ლარი იქნება.

2024 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

მუნიციპალიტეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 19000.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: საგადასახადო შემოსავლები 16637.9 ათასი ლარით, გრანტები - 268.0 ათასი ლარის ოდენობით, არასაგადასახადო შემოსავლები 1594.1 ათასი ლარით და შემოსავლები არაფინანსური აქტივების (კაპიტალური შემოსავლების) სახით 500.0 ათასი ლარის ოდენობით.

საგადასახადო შემოსავლები.

მთლიან შემოსავლებში (19000.0 ათასი ლარი) უშუალოდ, საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 87,6%–ს, ანუ 16637.9 ათას ლარს შეადგენს. მათ შორის: ქონების გადასახადი 2600.0 ათასი ლარი (აქედან: საქართველოს საწარმოთა ქონება - 2130.0 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონება - 20.0 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე -100.0 ათასი ლარი და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 350.0 ათასი ლარი), დამატებული ღირებულების გადასახადი - 14037.9 ათასი ლარი;

გრანტები.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების საპროგნოზო მოცულობაში (19000.0 ათასი ლარი) ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების (ტრანსფერების) ხვედრითი წილი 1,4 %–ს, ანუ 268.0 ათას ლარს შეადგენს (მიზნობრივი ტრანსფერი – 268.0 ათას ლარი), ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერი ამ ეტაპზე არ არის განსაზღვრული.

სხვა შემოსავლები.

მომავალი საბიუჯეტო წლის პროექტში შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა ასევე სხვა შემოსავლები, რომელიც დაგეგმილია - 1594,1 ათასი ლარით, მისი ხვედრითი წილია 8,4%. მათ შორის: პროცენტები განსაზღვრულია - 150.0 ათასი ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 370.0 ათასი ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან დაგეგმილია 20,0 ათასი ლარი. სანებართვო მოსაკრებელი - 15.0 ათასი ლარი; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 230.0 ათასი ლარი, შემოსავალი მომსახურეობის გაწევიდან - 14.1 ათასი ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები - 750.0 ათასი ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 45.0 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივები.

არაფინანსური აქტივების კლება დაგეგმილია -500.0 ათასი ლარით, რომლის ხვედრითი წილია 2,6%. აქედან ძირითადი აქტივები -200.0 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივები - 300.0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო (საგეგმო) მაჩვენებლებში საერთოდ არ არის შეტანილი: საერთო–სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის და სხვა. რადგან, ამ სახის მოსაკრებლებიდან წინა საბიუჯეტო წლებში ფაქტიური შემოსავლები არ დაფიქსირებულა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2024 წლის საგასავლო ნაწილის საპროგნოზო პარამეტრები განსაზღვრულია საშემოსავლო ნაწილის შესაბამისად - 19000.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც 2500.0 ათასი ლარით მეტია 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსდება - 1483.0 ათასი ლარით; მათ შორის:

- გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი დაგეგმილია - 200.0 ათასი ლარით. რეგიონში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდება 200.0 ათასი ლარით.
- წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია ექსპლოატაცია დაფინანსდება -310.0 ათასი ლარით.
- გარე განათების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯი დაფინანსდება -470.0 ათასი ლარით.
- კომუნალური მეურნეობის განვითარების ხარჯები დაფინანსდება -255.0 ათასი ლარით.
- სოფლის პროგრამები დაფინანსდება 10.0 ათასი ლარით.
- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება დაფინანსდება -238.0 ათასი ლარით.

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2800,0 ათასი ლარი; მათ შორის:

დასუფთავება და კეთილმოწყობა (ა(ა)იპ „თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“) 2024 წლის ასიგნება -2800.0 ათასი ლარით განისაზღვრება;

განათლება - 5156.0 ათასი ლარი, მათ შორის:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა (ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი“-ს) დაფინანსება განსაზღვრულია -165.0 ათასი ლარით.
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება განისაზღვრა -4600.0 ათასი ლარით.
- სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია და მშენებლობა დაფინანსდება -10.0 თასი ლარით.
- საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება დაფინანსდება-1.0 ათასი ლარით.
- სკოლისგარეშე განათლება (ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრი“-ს) დაფინანსდება -380.0 ათასი ლარით.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2540.0 ათასი ლარი. მათ შორის:

- სპორტული ღონისძიებები დაფინანსდება -40.0 ათასი ლარით.
- სპორტული სკოლა (ა(ა)იპ „თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ -გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი“) დაფინანსდება -850.0 ათასი ლარით.
- სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (ა(ა)იპ ☞5

როგორი იქნება თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მთავარი ფინანსური დოკუმენტი

განმარტებითი ბარათი

4☜

საკრებულოს დადგენილების პროექტზე „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

„თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრი“) დაფინანსდება -290.0 ათასი ლარით

- სახელოვნებო სკოლები -300.0 ათასი ლარით.
- ბიბლიოთეკები დაფინანსდება -235.0 ათასი ლარით.
- კულტურის სახლების დაფინანსება განსაზღვრულია -520.0 ათასი ლარით.
- მუზეუმების დაფინანსება განსაზღვრულია -100.0 ათასი ლარით.
- ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება - 50.0 ათასი ლარი;
- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა -80.0 ათასი ლარით განისაზღვრა.
- საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსება -75.0 ათასი ლარით.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა -1905.0 ათასი ლარი, მათ შორის:

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“) დაფინანსდება -258.0 ათასი ლარით.

ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია (სოფლის ამბულატორიები) დაფინანსდება -1.0 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა დაფინანსდება -1646.0 ათასი ლარით, რომელიც მოიცავს შემდეგ სოციალურ პროგრამებს: კერძოდ: 1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება. 2. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური დახმარება. 3. ქალაქ თერჯოლაში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ნაწილი, რომლებიც სარგებლობდა უფასო სასადილოთი უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი თანხებით. 4. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარება. 5. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარება. 6. თერჯოლის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი უნარშეზღუდული ბავშვების დღის ცენტრების დაფინანსება. 7. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარება. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტი ანხორციელებს ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამას, რითაც გათვალისწინებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მშობლებისათვის დახმარება. 8. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა. აღნიშნული ითვალისწინებს სტიქიური და სხვა მოვლენების შედეგად სახლდაზიანებული ოჯახების დახმარებას. 9. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობასა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე საკვები პროდუქტებით დახმარება. 10. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანების სადღესასწაულო დახმარება და სარიტუალო მომსახურეობა. აღნიშნული ღონისძიება ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას. თითოეულ გარდაცვლილ ომის ვეტერანზე 250 ლარის ოდენობით. 11. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის ერთჯერადი თანადაფინანსება. აღნიშნულით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის (გარდა პლასტიკური ოპერაციებისა) ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსება. 12. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე დიაბეტით და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა ოჯახების ფინანსური დახმარება. 13. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარება. 14. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის პროგრამა. 15. უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობა. 16. უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინით, ქირით უზრუნველყოფა.17 თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერა და გაძლიერება.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2024 წელში განსაზღვრულია -5008.0 ათასი ლარით.

- თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 1060.0 ათასი ლარი;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია - 3850.0 ათასი ლარი;
- სარეზერვო ფონდი - 80.0 ათასი ლარი;
- წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 1.0 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 95.0 ათასი ლარით.
- კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი - 20.0 ათასი ლარი.
- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა 10.0 ათასი ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 5116,0 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - 200,0 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა - 2800,0 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 1283,0 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - 259,0 ათასი ლარი;
- დასვენება, კულტურა და რელიგია - 2540.0 ათასი ლარი;
- განათლება - 5156.0 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა - 1646,0 ათასი ლარი;

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ ათასი ლარი /

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა
-	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	19000,0
01 01 01	თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1060,0
01 01 02	თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია	3850,0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	80,0
01 02 02	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	1,0
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	95,0
01 02 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	20,0
01 02 05	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	10.0
02 01	გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი	200,0
02 02	წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	310,0
02 03	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია ექსპლოტაცია	470,0
02 04	კომუნალური მეურნეობის განვითარება	255,0
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	10,0
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	238,0
03 01	დასუფთავება და კეთილმოწყობა	2800,0
04 01 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა	165,0
04 01 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	4600,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	10,0
04 03	საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	1,0
04 04	სკოლისგარეშე განათლება	380,0
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	40,0
05 01 02	სპორტული სკოლა	850,0
05 02 01	სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	290,0
05 02 02	სახელოვნებო სკოლები	300,0
05 02 03	ბიბლიოთეკები	235,0
05 02 04	კულტურის სახლები	520,0
05 02 05	მუზეუმები	100,0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	50,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	80,0
05 05	საგამომცემლო საქმიანობა	70,0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	258,0
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	1,0
06 02 01	სოციალური დაცვა	1646,0

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები საბიუჯეტო კლასიფიკაციის ჭრილში:

- შრომის ანაზღაურება - 3450,0 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 2080.0 ათასი ლარი;
- პროცენტი -37.0 ათასი ლარი;
- სუბსიდიები - 10673.0 ათასი ლარი;
- გრანტი - 40.0 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 1186.0 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯი - 791.0 ათასი ლარი;
- არაფინანსური აქტივები - 685.0 ათასი ლარი;
- ვალდებულებები - 58.0 ათასი ლარი;

2024 წლის ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების ზრდა შეადგენს – 685.0 ათას ლარს, მათ შორის:

- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რგფ პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდება - 200.0 ათასი ლარით.
- წყლის სისტემის რეაბილიტაცია დაფინანსდება 50.0 ათასი ლარით რგფ პროექტების თანადაფინანსება.
- გარე განათების ქსელზე მიერთება დაფინანსდება -20.0 ათასი ლარი.
- კომუნალური მეურნეობის განვითარება დაფინანსდება -155.0 ათასი ლარით. რგფ პროექტების თანადაფინანსება.
- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება დაფინანსდება -200.0 ათასი ლარით.
- სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის თანადაფინანსება დაფინანსდება -10.0 ათასი ლარით.
- მუნიციპალიტეტის მერია დაფინანსდება - 50.0 ათასი ლარით (კომპიუტერული ტექნიკის შეძენა - 20.0 ათასი ლარი; პრინტერები 15.0 ათასი ლარი; ავეჯის შეძენა 15.0 ათასი ლარი).

2024 წლის ბიუჯეტში „კაპიტალური ბიუჯეტი“ გათვალისწინებული არ არის, რადგან დაგეგმილ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების ზრდაზე განსაზღვრული თანხა დაიხარჯება მცირე სარემონტო ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე და მსხვილი ინფრასტრუქტურული ობიექტების თანადაფინანსებასა და ზედამხედველობაზე.

გთხოვთ, მოსაზრებები, წინადადებები და შენიშვნები მიაწოდოთ მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს.

აზა მაჩიტიძე-მურადაშვილი — 80

წლები მას ვერაფერს აკლებს...

სიტყვა სიურპრიზი—ანუ მოულოდნელი სასიამოვნო ამბავი ზოგჯერ პირობითია, მაგრამ სამოცდაათი წლის იუბილე აზასთვის ნამდვილი სიურპრიზი იყო. სადმე სავახშმოდ ერთად წავიდეთო—უთხრეს თურმე შვილებმა. დიდი და ნათელი დარბაზის ოთხივე კუთხეში უზარმაზარ ლარნაკში 70-70 წითელი ვარდი, ოჯახის ყველა წევრი, უახლოესი ნათესავები, მეზობლები და მეგობრები რომ დაინახა, ატირდა ქალი, ატირდა სიხარულით და ბედნიერებით. „აღუვსებელი სასწაული“ უწოდა მაშინ აზამ ამ „სასიამოვნო ამბავს“.

გავიდა ათი წელი. 2023 წლის 4 ნოემბერს (1 ნოემბერი სამუშაო დღე იყო, ყველა ვერ მოვიდოდა) კვლავ შეიკრიბნენ აზა მაჩიტიძის უახლოესი ადამიანები, ამჯერად 80 წლის იუბილეზე და ყველა ერთი აზრის იყო—ამ ქალს წლები ვერაფერს აკლებსო. დიახაც, აზას ვერაფერს აკლებს წლები, იგი ისეთივე მშვენიერია, როგორც ადრე. გარდა გარეგნობისა, მას ამშვენებს გამორჩეული თვისებები: კეთილშობილება, საიმედო მეგობრობის თვისება, უღალატობა, სიმტკიცე, სიყვარულის გრძნობა. ამასთან დღეს და ადრეც მნიშვნელოვანი იყო და არის მოსახლეობისათვის საქმის ღრმა ცოდნა, კვალიფიკაცია, მას, როგორც გამოცდილ ფარმაცევტს არ სჭირდება წამლების ანოტაციების გაცნობა, იცის წამლების ფარმაკოლოგიური თვისებები, შემადგენლობა, მიღების წესები, გვერდითი მოვლენები, ყოველი სიახლის საქმის კურსშია და წამლის ყიდვისას გარიგებს „შემაწუხებლად“. განსაკუთრებულ პატივს სცემს ექიმის დანიშნულებას და წამალს არ ან იშვიათად ცვლის ე.წ. „შემცვლელით“, „მიმართეთ ექიმს“ ეტყვის მომხმარებელს—თუმცა, ზედმიწევნით კარგად იცის, რა რას უხდება.

60 წელი ხალხის სამსახურში

აზა მაჩიტიძე 60 წელია ერთადერთი საქმით არის დაკავებული და დაუგროვა წლებმა უდიდესი გამოცდილება, დააახლოვა ხალხს, მოიპოვა ნდობა. თაობებს ახსოვთ რაიონში მოქმედი ერთადერთი აფთიაქი, აზა, თავის დიდი გამოცდილების მქონე თანამშრომლებთან ერთად, ხალხის სიყვარულით იყო გარემოსილი. ე.წ. „ძველი აფთიაქი“ მისი რამდენიმე მეგობრის ნავთსაყუდარიც იყო, აფთიაქში ხშირად დავდიოდით, ხალხმრავლობის გამო ჩვენთვის იშვიათად იცლიდა, ხანდახან, რომ მოგვენატრებოდა, მივადგებოდით ე,წ. „ფორთოჩკას“, დასანახად ერთი ან ორი მანეთის აუცილებლობის საჭიროების წამალს, მაგ. ციტრამონს, სტრეპტოციტს, ლევომიცეტინს წამოვიღებდით და პატარა „ჭორაობას“ ვასწრებდით.

60 წლიანი მეგობრობა წყენის გარეშე

იშვიათია ალბათ სამეგობრო წრე, რომლებთაც აკავშირებთ 50-60 წლის ჯერ ნაცნობობა, მერე მეგობრობა და ერთმანეთისადმი არ ჰქონოდათ წყენა, რომელიც იქნებოდა ამ მეგობრობის ზიანის მომტანი. აზას ჰყავს ასეთი სამეგობრო წრე. მეგობრობდე ადამიანები ნახევარი საუკუნე და მეტი, არ არის ადვილი, საუკეთესო მეგობარია აზა, იგი არ გაძლევდა უფლებას შენც საუკეთესო არ ყოფილიყავი. ერთხელ ერთ მეგობართან მივედით მისი სიდედრის დასაფლავებაზე. ერთად რომ დაგვინახა, ცოტა ხნით ჩამოვიდა ეზოში და მოასწრო თქმა—რომის იმპერია დაეცა, საბჭოთა კავშირი დაიშალა, ჩინეთის დიდი კედელი დაინგრა, წვრილ-წვრილი იმპერიები განადგურდნენ—მარტო ამათმა გაუძლესო დროს. უნდა გავუძლოთ დაო და მეგობარო, ოხერია სიბერე, შემოგვეპარა, მაგრამ მან შეიძლება ჯანმრთელობას დააკლოს, სიყვარულს ვერაფერს.

ცნობილი ოჯახი

აზას მამა ვანო მაჩიტიძე წლების განმავლობაში თერჯოლის პოლიციის უფროსი იყო და ლეგენდებს ჰყვებოდნენ მის ჩეკისტურ ნიჭზე, დიდ და წარმატებულ მოღვაწეობაზე, რაიონში სრული სიმშვიდე ყოფილა მისი უფროსობისას, იკლო დანაშაულმა, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულმა. წარმატებული იყო მისი საქმიანობა ბაღდათში, სადაც პოლიციის უფროსი ყოფილა, ოჯახი გარკვეულ პერიოდშიც იქ ცხოვრობდა. აზა ამ დროს უკვე დაქორწინებულია თერჯოლელ ჯუმბერ მურადაშვილზე და გაჩნდნენ შვილები: დათო, ვალერი, ელისო. მოსიყვარულე, ერთმანეთის პატივისმცემელი ცოლ-ქმარი დიდი სიყვარულით და რუდუნებით ზრდიდნენ შვილებს, დათოს, როგორც ინჟინერს, ვალერის, როგორც ექიმს, ელისოს, როგორც პედაგოგს და ახლა მაჟორიტარ დეპუტატს თერჯოლის საკრებულოში. მათ უყვართ საქმე, რომელსაც ემსახურებოდნენ და ემსახურებიან დღესაც, არა მარტო უყვართ, არამედ იციან ცხოვრების მიზანიც და დანიშნულებაც.

აზას ცხოვრება ყოველთვის არ იყო ია-ვარდებით მოფენილი, ტკივილიც ჰქონია და სიამეც, მაგრამ ანუგეშებდა და აძლიერებდა შვილები, საქმე. მერე რძლები და „ურიცხვი“ შთამომავლობა. ჩვენ გადავთვალეთ ისინი და დღეის მდგომარეობით 21 გამოვიდა. „ამ შთამომავლობის გვერდით რა მოგკლავსო“—ზოგი ხმამაღლა ამბობდა, ზოგი ალბათ ფიქრობდა, ძევრის ულამაზეს „კლდეში ნაკვეთ“, უზარმაზარი მთების და გამოქვაბულების სიღრმეში მდებარე რესტორან „ძერულის“ დარბაზში რომ ხედავდნენ აზას და ჯუმბერის შთამომავალთ, აზას დედმამიშვილების სიმრავლეს, მათ სიმღერას, ცეკვას და სადღეგრძელოს რომ ისმენდნენ.

ბედნიერია აზა, მაგრამ იყო წლები, როცა ტკივილი განიცადა.1998 წელს ჯუმბერ მურადაშვილი გარდაიცვალა. ეს ტრაგედია იყო არა მარტო ოჯახისათვის, არამედ ჯუმბერის სამეგობროსთვის, მთელი თერჯოლისათვის და რაიონის ფარგლებს გარეთაც.

ვერ ვიტყვით, რომ პატარები იყვნენ და მამის გადიდებულ სურათთან გაიზარდნენ შვილები, მაგრამ მამა ვის მოწყენია, შვილებს მამის ძლიერი ხელი მაინც ჭირდებოდათ. გაიხსენა აზას მშვენიერმა, მაშინ ახალმა რძალმა, ახლა რაიონში კარგად ცნობილმა ექიმმა მაია შარიქაძემ „ჯუმბერი რომ გარდაიცვალა გვითხარი—არ შეგეშინდეთ შვილებო, მე აქ ვარ“. ახლა ჩვენ გვეტყვით—არ შეგეშინდეს დედა, ჩვენ ბევრნი ვართ და აქ ვართ“.

და ეფერებოდნენ აზას შვილები, შვილიშვილები, მათი შვილები, მოსკოვიდან ჩამოსული დები და მთელი სანათესაო, მეგობრები, ასევე მშვენიერმა რძალმა ლალი არეშიძემ არაერთხელ „გაუმჟღავნა“ სიყვარული და გამოხატა პატივისცემა.

აზა მაჩიტიძე 80 წლის გახდა. ბევრია ეს წლები და ცოტაც. აზამ დიდხანს, ძალიან დიდხანს უნდა იცოცხლოს ოჯახის ბედნიერების და სიმშვიდისათვის, ჩვენი მეგობრობის გაძლიერებისათვის, რწმენისათვის, იმედისათვის, რომ შინაარსიანად განვლილი გზა მაგალითად გამოდგეს.

საიუბილეო საღამოზე აზასადმი გამოთქმული სურვილები სადღეგრძელოდ თქმული, დაახლოებით შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს—ოჯახი ღვთის მიერ დადგენილი საიდუმლოა, მცირე სახელმწიფოა კანონებით, უფლებებით, კულტურით, განათლებით, ბედნიერი იყავი ამ დიდ ოჯახთან; თქვენ გაქვთ ყველაფერი, რაც შეიძლება ადამიანს ჰქონდეს, მაგრამ მიგაჩნიათ, რომ ეს არ არის საკმარისი, თქვენ ფიქრობთ სხვებზე, სხვის კეთილდღეობაზე“—თქვენ ჭეშმარიტი მეგობარი ხართ, გაქვთ მოსიყვარულე გული, მტკიცე სული, თქვენ შეგიძლიათ პატიება, ხშირად გითქვამთ მშობლის ვალის მერე ყველაზე დიდი ვალდებულება მეგობრობაა და უსურვეს აზას ჯანმრთელი და ხანგრძლივი სიცოცხლე, ახლობლების კარგად ყოფნა, ერთგულება ღვთისადმი, სიკეთისადმი, სიმართლისადმი, ოჯახის და გარშემომყოფებისადმი...

სამეგობრო

მიზანი—გაძლიერება, მხარდაჭერა, თანადგომა...

მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეული სამი თანამშრომლით არის წარმოდგენილი. სახელმძღვანელო ინსტრუქცია ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერასა და გაძლიერებას. პროგრამის ამოცანაა „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული ოჯახის მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება.

პროგრამა დაიწყო 2023 წლის თებერვალში და დეკემბერში დამთავრდება.

პროგრამის მიზანია დაეხმაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საჭიროების მქონე ოჯახებს, საყოფაცხოვრებო ტექნიკით, ჰიგიენური საშუალებებით, საკანცელარიო ნივთებით, სახელმძღვანელოებით და სხვა პირველადი საჭიროების ნივთების შეძენაში.

მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებას განიხილავს ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება, სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტს კი მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია და შეიმუშავებს რეკომენდაციას, რომლის საფუძველზე მომზადდება ფინანსური დახმარების გაცემის პროექტი.

რა გაკეთდა ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მიერ 2023 წლიდან დღემდე, როგორ გაძლიერდა, რა მხარდაჭერა მიიღო განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებმა და ოჯახებმა და რა გაკეთდება პროგრამის დასრულებამდე გვესაუბრება ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკი ნინო ხუჯაძე.

„სოციალური მუშაკის როლი განსაზღვრულია კანონით, გვყავს ფსიქოლოგი და ჯანდაცვის სპეციალისტი.

ბავშვისა და ოჯახის საჭიროებათა და ზიანის რისკის განსაზღვრა ეფუძნება ბავშვის ბიო-ფსიქო-სოციალური განვითარების საჭიროებების შესწავლას (შეფასებას) და იმ რისკების იდენტიფიცირებას, რომლებიც საფრთხეს უქმნიან (ან შეუძლიათ შეუქმნან) ბავშვის ჯანსაღ ფუნქციონირებას (ან განვითარებას) და ზიანს აყენებენ ბავშვის კეთილდღეობას. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ დასკვნის გაკეთების საფუძველი ხდება ბავშვის ქცევა, საცხოვრებელი გარემო, მშობლის დამოკიდებულება ბავშვისადმი, მიმდინარე ნეგატიური მოვლენები და სოციალური გარემო. ასევე, გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვის ქრონიკული ავადმყოფობა და შეზღუდული შესაძლებლობები, ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელი პირის შესაძლებლობები, მზაობა და მოტივაცია მიიღოს შეთავაზებული დახმარება. ასევე სოციალური მუშაკის როლია შუამდგომლობა საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა უწყებაში, როგორც მუნიციპალურ სერვისებში ჩასართავად ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და რეფერირება სხვადასხვა უწყებაში, როგორც შშს ორგანოში, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში.

2020 წლის სექტემბრიდან, კანონიდან გამომდინარე, შეიქმნა ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება. მერის გადაწყვეტილებითა და საკრებულოს მხარდაჭერით 2023 წელს ბიუჯეტში გათვალისწინეულია—15000 ლარი.

პროგრამის სახელწოდებაა—„თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2023 წლის პროგრამა“.

პროგრამის ამოცანაა „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული ოჯახის/ბავშვის მხარდამჭერი ღონისძიება, რომლის მიზანია ბავშვის მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, სიღატაკეში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახები, რომელთა შორის უპირატესობა მიენიჭებათ შემდეგ ჯგუფებს:

—ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი ბავშვი.

—მიტოვების რისკის მქონე ბავშვიანი ოჯახები.

—ოჯახები, რომელთაც ჰყავთ შშმ ბავშვი/ბავშვები.

—ობოლი ბავშვები.

—ასევე ის ბავშვები, რომელთაც ჰყავთ შშმ მშობლები.

ერთ ოჯახზე მისაწოდებელი საქონლის ღირებულება ამ პროგრამის ფარგლებში არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

დღეის მდგომარეობით დაფინანსდა 16 ოჯახი საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა ტექნიკით. პროგრამის ფარგლებში შევიძინეთ 5 სარეცხი მანქანა, 4 მაცივარი, 2 წყლის გამაცხელებელი, ტანსაცმელი, საკვები და ჰიგიენური საფენები.

მუნიციპალიტეტის მერია პროგრამის გაგრძელებას მომავალშიც ითვალისწინებს, რაც ამ საჭიროების ბენეფიციარების კეთილდღეობაზე ზრუნვის კარგი მაგალითია.

ესაუბრა
ჟუჟუნა ცხადაძე

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, მუნიციპალური ტური მინი ფეხბურთში გოგონებსა და ვაჟებში

მიმდინარე წლის 3 ნოემბრიდან 16 ნოემბრის ჩათვლით ქალაქ თერჯოლის მინიმოედანზე მიმდინარეობდა მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ ორგანიზებული სასკოლო სპორტული ოლიმპიადის

მუნიციპალური ტურნირი მინიფეხბურთში მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლებს შორის გოგონებსა და ვაჟებში. სასკოლო სპორტული თამაშების მხარდამჭერია საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

მუნიციპალურ ტურში მონაწილეობა მიიღო საჯარო სკოლების გოგონათა ათმა და ვაჟთა ოცმა გუნდმა. თამაშები გაიმართა ოლიმპიური სისტემით.

ფინალში გოგონებს შორის ერთმანეთს შეხვდნენ სოფელ თუზისა და ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლის გუნდები. პირველ ადგილზე გავიდა ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლის გოგონათა გუნდი.

ვაჟებს შორის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქალაქ თერჯოლის პირველი და მეორე საჯარო სკოლის გუნდები. ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა და გამარჯვებული გამოვლინდა პენალტებით, **4:2** №2 საჯარო სკოლის ვაჟთა გუნდის სასარგებლოდ.

მატჩებს მსაჯობდნენ დიმა არეშიძე და რამაზ გურაბანიძე, ფეხბურთელთა ტრავმულ უსაფრთხოებას ზედამხედველობას უწევდა მედიკოსი ნატო ნებიერიძე.

პირველ ადგილზე გასული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ რეგიონალურ ტურში, რომელიც 2024 წლის გაზაფხულზე გაიმართება.

პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით და შესაბამისი ხარისხის მედლებითა და დიპლომებით.

ნუნუ მარაქველიძე,
თერჯოლის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი სპეციალისტი სპორტის და ახალგაზრდობის საკითხებში

ღვინობისთვის სპორტული ნობათი

14-19 ნოემბერს, საფრანგეთის ქალაქ ანდიბეში, ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი კარატეში. დიდების შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდა თერჯოლის ბავშვთა სპორტული სკოლის მწვრთნელი **ირაკლი ღონღაძე,** რომელმაც მოიგო ყველა შეხვედრა, აბსოლუტურ კატეგორიაში გახდა ევროპის ჩემპიონი და მოიპოვა ოქროს მედალი.

აღსანიშნავია, რომ მასთან ერთად იასპარეზა მისმა შეგირდმა, **დავით ნიკოლაძემ,** თერჯოლის №1 საჯარო სკოლის მოსწავლემ, რომელიც ამჯერად მხოლოდ მეოთხედფინალამდე მივიდა, მაგრამ იმედი ყველას გვაქვს, რომ ის სულ მალე ნაბიჯებს ბევრად უფრო წინ გადადგამს.

პოლონეთის ქალაქ ბელსკო-ბეილაში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი კატარკონიაში ანუ ქამრიან ჭიდაობაში, სადაც წარმატებით გამოვიდა ჩვენი რაიონის მკვიდრი **ზაურ გავაშელაშვილი,** რომელმაც მძიმე წონაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

ვულოცავთ და წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს მწვრთნელებსა და მათ მოსწავლეებს!

თერჯოლელი სპორტსმენების ოქრო-ვერცხლიანი შემოდგომა

წარმატებით აგრძელებენ გამოსვლებს სპორტული სკოლისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის სპორტსმენები სხვადასხვა ქალაქებსა და რეგიონებში დაგეგმილ რესპუბლიკურ ღონისძიებებზე

1-2 სექტემბერი, ქალაქი ფოთი. ზურაბ ტუღუშის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა სამბოში. წვერავა გეგი მძიმე წონა—მესამე ადგილი.

23-24 სექტემბერი, ქალაქი ზუგდიდი. სალიცენზიო შეჯიბრება ჭიდაობა ძიუდოში. ნიკა ბრეგვაძე—მეორე ადგილი.

30 სექტემბერი-1 ოქტომბერი. ქალაქი წყალტუბო. ჯიმშელაშვილისა და აფხაზავას ხსოვნის ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში. მათე ნიკოლაძე, პირველი ადგილი 26 კგ; გოჩა ნიკოლაძე პირველი ადგილი 32 კგ; ლუკა ბუიღლიშვილი პირველი ადგილი 75 კგ; გაბრილ ნიკოლაძე მეორე ადგილი 35 კგ; გიორგი ჩოგოვაძე მეორე ადგილი 62 კგ; ლუკა მაჭავარიანი მესამე ადგილი 29 კგ; გიორგი ნიკოლაძე მესამე ადგილი 35 კგ; ნიკა ქაშაკაშვილი მესამე ადგილი მძიმე წონა.

7-8 ოქტომბერი. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ლუხუმ ჩხეიძის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში. საბა სულამანიძე, მეორე ადგილი 50კგ.

6-8 ოქტომბერი, ქალაქი საგარეჯო. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის ვასილ ლაფაჩიშვილის სახელობის და რესპუბლიკური ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში.

მათე ნიკოლაძე მესამე ადგილი 26 კგ; ლუკა მაჭავარიანი მეორე ადგილი 29 კგ; გოჩა ნიკოლაძე მეორე ადგილი 32 კგ; გაბრიელ ნიკოლაძე მესამე ადგილი 32 კგ; გიგა ჭუიშვილი მესამე ადგილი 68 კგ.

2023 წლის 27-29 ოქტომბერს თერჯოლის სპორტის სასახლეში გაიმართა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონის ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში მიშიკო აბაშიძის ხსოვნის ტურნირი ჭიდაობა სამბოში.

2009-2012 წლებში დაბადებულთა შორის აღნიშნულ ტურნირზე მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის 4-მა გუნდმა, სამტრედიის, ვანის, ცაგერის, ტყიბულის, ზესტაფონის, ჭიათურის, ხაშურის და თერჯოლის გუნდების 170-მა სპორტსმენმა. პრიზიორები გახდნენ 21 კგ. წონით კატეგორიაში: **ილია ქემერტელიძე** პირველი ადგილი, **გაბრიელ გაჩეჩილაძე** მესამე ადგილი, **დემეტრე კლდიაშვილი** მესამე ადგილი, **მათე ბოჭორიშვილი** მესამე ადგილი. 23 კგ. წონით კატეგორიაში: **დათო ხუჯაძე** მესამე ადგილი, **რეზო ხაჭაპურიძე** მესამე ადგილი. 26 კგ. წონით კატეგორიაში **ცოტნე რობაქიძე** მესამე ადგილი. 29 კგ. წონით კატეგორიაში **ზურა ბოჭორიშვილი** მეორე ადგილი. 32 კგ. წონით კატეგორიაში: **ნიკოლოზ მამრიკიშვილი** მეორე ადგილი, **დათო ლომიტაშვილი** მესამე ადგილი. 42 კგ წონით კატეგორიაში **ლევან გოგიტიძე** მესამე ადგილი. 46 კგ. წონით კატეგორიაში: **მათე დარსაძე** მესამე ადგილი, **სანდრო ყუბანეიშვილი** მესამე ადგილი. 50 კგ. წონით კატეგორიაში **ილია რობაქიძე** პირველი ადგილი. 55 კგ. წონითი კატეგორიაში **სანდრო ობოლაძე** მესამე ადგილი. 60 კგ. წონით კატეგორიაში: **ნიკა ჭანკვეტაძე** მესამე ადგილი, **ლუკა ნიშნიანიძე** მესამე ადგილი.

2009-2010 წლებში დაბადებულთა შორის პრიზიორები გახდნენ: **ზურა ბოჭორიშვილი** მეორე ადგილი 34 კგ; **საბა სულამანიძე** მესამე ადგილი 50 კგ; **კუკა კირკიტაძე** მესამე ადგილი 60 კგ; **დათო ხუჯაძე** პირველი ადგილი 66 კგ.

მიშიკო აბაშიძის სახელობის თასი გადაეცა თერჯოლელ **დავით ხუჯაძეს** 66 კგ.

თერჯოლის გუნდები შეჯიბრებისათვის მოამზადეს მწვრთნელებმა: **ლერი რობაქიძემ, დიმიტრი გურგენიძემ, გურამ ჩაფიძემ, მალხაზ თურქაძემ, ლერი ჯიხვაშვილმა, ონისე ბოჭორიშვილმა, ზურაბ გავაშელაშვილმა, გრიგოლ მამრიკიშვილმა.**

ელგუჯა გოგბერაშვილი,
სპორტსკოლის მთავარი სპეციალისტი

ჭადრაკი
ისევ ნინი წივწივაძე

ქ. ქუთაისში, 6-12 ნოემბერს, გაიმართა დიდოსტატ მაია ჩიბურდანიძის სახელობის თასის გათამაშება ჭადრაკში, სადაც თავიანთ შესაძლებლობებს ცდიდნენ ქალი მოჭადრაკეები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან.

როგორც ყოველთვის, ისე ამჯერადაც წარმატებით იასპარეზა თერჯოლის სპორტული სკოლის აღსაზრდელმა ნინი წივწივაძემ. მან 12-წლამდე გოგონათა შორის სწრაფ ჭადრაკში თანაბარი 6,5 ქულით პირველ-მეორე ადგილი გაიყო და ნახევარი კოეფიციენტით გახდა ტურნირის ვიცე-ჩემპიონი.

ტურნირში გამარჯვებულები დიპლომებით, მედლებითა და ფულადი სახით დააჯილდოვეს საქართველოს პარლამენტის წევრმა, იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ბატონმა ზაზა ლომინაძემ, ქ. ქუთაისის მერმა ბატონმა იოსებ ხახალეიშვილმა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პირველმა ვიცე პრეზიდენტმა ბატონმა გიორგი გიორგაძემ.

ვულოცავთ ნინის და მის მწვრთნელს ოსტატობის კანდიდატს გია ჭუმბურიძეს მორიგ წარმატებას და შემდგომ წინსვლას ვუსურვებთ.

ნორჩი „მხატვრები“ თავისუფალ-კომფორტულ გარემოში ეზიარებიან ხელოვნების საფუძვლებს

22 ნოემბერს უამრავმა თერჯოლელმა მოიყარა თავი სამხატვრო-საგანმანათლებლო სკოლის ახალი 2023-24 სასწავლო წლის პირველ ვერნისაჟზე. აქ არიან აღსაზრდელები, მათი მშობლები, სტუმრები მუნიციპალიტეტის მერიიდან და საკრებულოდან. აქ არიან აგრეთვე რიგითი მოქალაქეები ხელოვნების უმშვენიერესი დარგის, მხატვრობის მოყვარული ადამიანები, რომლებისთვისაც პატარების ნამუშევრები საინტერესოა და სიამოვნების მიღების ერთ-ერთ წყაროდ დამკვიდრდა, ჩვენდა საამაყოდ, თერჯოლაში.

სკოლა ყოველწლიურად ახალ ხატვისმოყვარულ მოსწავლეებს ღებულობს, ასე მოხდა წელსაც.

სკოლის დირექტორი, ქალბატონი თამარ ღარიბაშვილი ე.წ. საშემოდგომო გამოფენის გახსნას და გიორგობის დღესასწაულს პირველებს ულოცავს პატარებს, რომლებიც თავიანთი ნამუშევრებით წელს პირველად იღებენ მონაწილეობას სკოლის ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაში: „მრავალი ახალი პატარა გვყავს, მინდა მათ მივულოცო პირველი გამოფენა, აღნიშნა თამარმა, არაჩვეულებრივი განცდაა, როცა შენი ნამუშევრების გამოფენაა, ვულოცავ თითოეულ ჩვენს მოსწავლეს, მშობლებს, როცა შვილი ხატავს, ამ ბავშვის თვალი, ხელი და რაც მთავარია, გული მუშაობს, ეს დიდი სიმდიდრეა მშობლისათვის“.

მხატვრობა—ეს უნიკალური ნიჭია ადამიანისა, მაგრამ ჭირდება სწავლა, მუშაობა და ჩვენი სკოლა, აღმზრდელები თამთა მაჭარაშვილი, ეკა რიჟამაძე, დარეჯან გოგბერაშვილი, ნინო ჩხიკვაძე ყველაფერს აკეთებენ აღსაზრდელებში ხატვის სიყვარული რომ გააღრმავონ, დაეხმარონ მათ თავიანთი ნიჭის გამოვლენასა და განვითარებაში. წარმატებები, რომელიც სკოლის ტრადიციად დამკვიდრდა თითოეული მათგანის შრომის შედეგია...

ვარ უბედნიერესი, რომ ჩვენს სკოლაში აღზრდილი თხუთმეტი უკვე არქიტექტორია, მათ რიგებს კიდევ ხუთი ამ სასწავლო წელს კურსდამთავრებული შეემატება, ასეთია მათი სურვილი და იმედია გაუმართლებთ. მჯერა, რამდენიმე მათგანი თერჯოლას ასახელებს.

თამარმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა თერჯოლელი ბავშვების ნიჭიერებას და დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას წარუდგინა გამორჩეულად ნიჭიერი „მხატვარი“...

ეს გიორგია...

როგორც თამარი ამბობს: გიორგის ნამუშევრები, რომელიც მან ამ გამოფენისათვის მოამზადა და არა მხოლოდ ეს ნამუშევრები, მეტყველებს იმაზე, რომ გიორგი ინდივიდუალური ხედვის, შეგრძნებებისა და წარმოსახვითი უნარის მქონე, თვითნაბადი ნიჭის მქონე ახალგაზრდაა, სხვა თვალით უყურებს სამყაროს, მას გამოხატვის თავისი ხელწერა გააჩნია, რომელიც აბსოლუტურად განასხვავებს სხვებისაგან...

თამარმა სამომავლოდ გიორგის პერსონალური გამოფენაც დააანონსა და იმედოვნებს, რომ ის თავის სიტყვას იტყვის ხატვით ხელოვნებაში...

გიორგი ერმოლენკოს ნამუშევრები წარმოდგენილ გამოფენაზე აბსოლუტურად განსხვავებულია, საინტერესო და მნიშვნელოვან განმარტებებსაც იძლევა თავის ნახატებზე...

გიორგი თერჯოლაში ცხოვრობს, იგი №1 საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასელია.

***

წლევანდელი საშემოდგომო გამოფენა 92 მოსწავლის ნამუშევარს მოიცავს, გამორჩეულია მრავალფეროვნებით, სიახლეებით. სილამაზითა და თემატიკით აშკარაა, რომ აქ სამხატვრო სკოლის მოსწავლეებს აქვთ თავისუფლება და საკუთარი შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენისა და საკუთარი მეს გამო—ხატვის შესაძლებლობა, რაც დასაფასებელია. სკოლის მიზანი და ამოცანაც ესაა, როგორც თამარი აღსაზრდელებს მოძღვრავს: „ეძებეთ ის, რაც თქვენია, ინდივიდუალურია“... საკუთარი ხელწერისა და საკუთარი მეს დამკვიდრება ხელოვნებაში ალბათ უმთავრესია, მათთვის, ვინც სამომავლოდ ამ გზას გაჰყვება.

სკოლის აღსაზრდელებსა და აღმზრდელებს, ასევე შეკრებილ დამთვალიერებლებს საშემოდგომო გამოფენის გახსნა, ასევე გიორგობის დღესასწაული მიულოცა გურამ თურქაძემ, რომელიც სკოლის არაერთი გამოფენის მომსწრე და შემფასებელია, აღნიშნა, რომ სკოლა აღზრდის საუკეთესო ტრადიციის გზას აგრძელებს, სასწავლო პროცესი და გამოფენათა მრავალფეროვნება სიახლეთა დამკვიდრება მუდმივად განვითარებათა პროცესშია...

„თქვენი სიწმინდე და ხედვა აქ ყველა ნამუშევარშია, ჩანს თქვენი ნამუშევრები ხომ შედევრია, თამარის ყველა გამოსვლაც შედევრია“, მიმართა მან სამხატვრო სკოლის მოსწავლეებს...

გამოფენის გახსნის ღონისძიებას სამხატვრო სკოლაში მუნიციპალიტეტის მერი ბატონი მანუჩარ რობაქიძე შემოუერთდა, რომელსაც აღსაზრდელები და შეკრებილი საზოგადოება აპლოდისმენტებით მიესალმა.

„უნიჭიერესები ხართ ბავშვებო და ძალიან მიხარია“, — მიმართა მერმა ბავშვებს გამოფენის დათვალიერებისა და მილოცვების შემდეგ და თითოეულს წარმატება უსურვა. პედაგოგებს კი მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისათვის. **„არ არის მარტივი, რასაც თქვენ ემსახურებით და ის ფაქტი, რომ ამ სკოლას ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთ ღირსეული ადგილი უჭირავს თქვენი დამსახურებაა. თქვენი დამსახურებაა ისიც, რომ სკოლის მიმართ მოსწავლეებისაგან დიდი დაინტერესებაა. სკოლის ავტორიტეტი სულ უფრო მზარდია და თქვენი თავდადებული პროფესიონალიზმი განაპირობებს ყოველივე ამას.**

მზად ვართ დიდი სიხარულით, ენთუზიაზმით და ყველა შესაძლებლობით გვერდით დაგიდგეთ სკოლას, რათა ნიჭიერ, ხატვის მოყვარული ყველა ახალგაზრდისათვის ხელმისაწვდომი იყოს...

აქ, სწავლამიღებული მომავალი თაობები, რომ ღირსეულ, ქვეყნისა და ხელოვნების მოყვარულ ადამიანებად ჩამოყალიბდებიან თითოეული ჩვენგანისათვის მნიშვნელოვანი, ნომერ პირველი ამოცანაა...

წარმატებები სკოლას და აღსაზრდელებს“—ასეთი სურვილით დაამთავრა თავისი გამოსვლა მუნიციპალიტეტის პირველმა პირმა.

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** **599 92 49 75**
მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** **599 91 24 14**
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ
კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**
აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33
ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872